ბატონ გიორგი ბარათაშვილს

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს,

ბატონო გიორგი,

უკვე ერთი თვეზე მეტია ფორმალურად მიმდინარეობს პარლამენტის 81 დეპუტატის მიერ ინიცირებული "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, თუმცა ჩვენი შეფასებით, აღნიშნული საკითხს საზოგადოებრივი და ეროვნული მაუწყებლების ტელეეთერში არ დაეთმო შესაბამისი ყურადღება.

ამასთან, ამ საკონსიტუტციო ცვლილების განხილვის მიზნით შექმნილმა კომისიამ გაუგებარი მიზეზით გააუქმა შეხვედრა პოლიტიიურ პარტიებთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე -

ჩვენ, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ოპოზიციის ინტერპარტიული ჯგუფის პოლიტიკური გაერთიანებები, ვითვალისწინებთ რა ქართული საზოგადოების მოთხოვნასა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების შესახებ, გთხოვთ უახლოეს პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში უზრუნველყოთ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილების განხილვა აღნიშნული ინიციატივის ავტორების, საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის, ასევე დაინტერესებული პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორისა და ექსპერტების მონაწილეობით.

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ოპოზიციის ინტერპარტიული ჯგუფის სახელით,

_____

გიორგი ახვლედიანი

„გაერთიანებული დემოკრატები“

_____

ზურაბ ხარატიშვილი

„სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის“